№ 67 15 თიბათვე, ქვირა 1866—1875 15 თიბათვე, ქვირა № 67

# დროება

### რედაქცია

მოლჩანის (აბას-აბატის) მეედანზე, ულორლანოვის სახლებში.

### ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

### გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
Ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

### განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს, ფრანგულ, ცუზულს ენებზე.

### განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერონთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

შეიძლება: **თფილისში**, რედაქციის კანტორაში (ადრესი გაზეთის სათაურში ნახეთ) და **გარეშე ქალაქებში** — „დროების“ აგენტებთან.

**ფასი** ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 ივლისიდამ ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდი) გაგზავნით და გაუგზავნელად — 4 მან. და 50 კაპ.

# საქართველო

### ქართული სამუდამო სცენა

—

უკანასკნელი წარმოდგენები, და არათუ მარტო უკანასკნელი — ყველა წარმოდგენები, რომელიც კი ყოფილა აქ, გვიმტკიცებს, რომ ქალაქში სამუდამო ტრუპის გამართვა შესაძლები საქმეა.

ხშირად ისეთს დროს ყოფილა ქართული წარმოდგენა დანიშნული, როდესაც ერთის შეხედვით ხარჯის აყენებაც გასაჭირი უნდა ყოფილიყო: ხან ავდარი ყოფილა, ხან აფიშა თვითონ წარმოდგენის დღეს გაუკრავთ, ხან იმავე დღეს ბევრი სხვა და სხვა თავშესაქცევი და გასართობი საღამოები, ბალები, თუ სხვა რამ ყოფილა დანიშნული.

მაგრამ არცერთს ქართულს წარმოდგენაზე არ ყოფილა ისე ცოტა ხალხი, რომ შემოსავალი გასავალს არ ასცლოდეს.

თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ ყოველ ქართულ წარმოდგენას უკანასკნელი 150 მანეთი და ხშირად მეტი გასავალი აქვს, რომ საზაფხულო თეატრში 250—350 მანეთზე ნაკლები შემოსავალი ქართული წარმოდგენის დროს თითქმის არ სოდეს არ არის, მაშინ ადვილად დაგვეთანხმებით, რომ ქართული სცენა ისეთ საქმედ შეიქნა, რომელსაც ანტრეპრენიორისთვის კარგი მოგების მიცემა შეუძლიან.

შემდეგში, უეჭველია, დღითი-დღეზე, ეს შემოსავალი თა-და-თან იმატებს, რადგან ქართველ საზოგადოებას თან-და-თან გაეხსნება გემო და ის შეეჩვევა ამ გვარ სიამოვნებას.

ამის გამო ჩვენ მიემართავთ არა იმათ, ვისაც რაიმე ქართულისათვის გული შესტკივათ (ამისთანაებისადმი მიმართვით, როგორც სჩანს, არაფერი გამოდის), არამედ იმათ, ვისაც მხოლოთ თავის ჯიბისთვის შესტკივათ გული, ვისაც მხოლოთ თავის კერძო სარგებლობა აქვს მხედველობაში.

სულ უბრალო ვაჭრული ანგარიში დაიჭიროს: ამ მხრით შეხედოს საქმეს და, დარწმუნებული ვართ, იმ წამსვე დინახავს, რომ სამუდამო სცენის გამართვა თფილისში ადვილად მოსახერხებელი და კარგი სარგებლობის მომცემი საქმეა.

ამ თვითვე საჭირო იქნება მხოლოთ რამდენიმე ათასი მანეთის დახარჯვა ზალისა და სცენის გასამართავად. ტრუპის შედგენა ხომ ისეთი ადვილი საქმეა, რომელზედაც ბევრი ლაპარაკიც არა ღირს. იმ ქვეყანაში, სადაც შექსპირის ტრაგედიებს ისეთი პირები არდგენენ, და არდგენენ ჩინებულათ, რომელთაც თვის დღეში სცენაც არ უნახავთ, იმედია, აქტორებისა და აქტრისების შოვნა არ გაჭირდება.

აქ ალაგი არ არის, რომ ჩვენ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ ამ საგანზე, (მით უფრო რომ ჩვენს გაზეთში ამაზე სხვა დროსაც ხშირად ბევრი რამ თქმულა), თორემ ჩვენ შეგვეძლო ნათლად გვეჩვენებინა მომავალი ჩვენი სცენის ანტრეპრენიორისთვის, რომ ამ საქმეს არც სხვა მხრით არავითარი დაბრკოლება, შიში და სამიზეზო რამ არ მოელის. საღი საქმეაო — რომ იტყვიან — ის არის.

ეგრე, იქონიეთ მხოლოთ ცოტაოდენი გამბედაობა, ნუ დაზოგავთ ცოტაოდენ ფულებსა და დამიჯერეთ, რომ ამ საქმის ხელის მოკიდებას არ ინანებთ.

ს. მესხი

### დღიური

□ ერთი-ორი თვე იქნება მას აქეთ, რაც თფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა წარუდგინა უმაღლეს მთავრობას ბანკის გამგეობის აზრი წესდების §§ 27 და 30 დამატებაზედა. ეხლა გვატყობინებენ, რომ ეს დამატება დაუმტკიცებია მთავრობას. ამას შემდეგ ყოველს ქალაქის უძრავი ქონების პატრონს შეეძლება 27½ წლის ვადით ისესხოს ფული ბანკიდამ და წელიწადში ყოველს ათ თუმნიანს გირაოს ფურცელში ეხოლოდ ცხრა მანეთი გადიხადოს თავნი, სარგებელი და გამგეობაზედ სახარჯო ფული.

□ ჭუთაისიდამ გვწერენ, რომ აქაურები ძალიან გახარებულნი არიან, რადგან შეიტყვეს, რომ ბანკს ამტკიცებენო. ყველანი ამით გამდიდრებას და გაკეთებას მოელიანო; სიამოვნებით ღამეც აღარ სძინავთო. ბევრი ისეთი პირები გამოჩენილან თურმე, რომელნიც ახლაე ცდილობენ, რომ დირექტორობა ან სხვა რამე თანამდებობა მიიღონ მომავალს ბანკში. დაიარებიან, დიდ კაცებს ეხვეწებიანო, ოღონდ ჩვენ ამოგვარჩიეთ და თქვენი სამსახური მერე ჩვენ ვიცითო....

□ ამ თიბათვის 11-ს ერთმა მოხუცმა სამსახურიდამ გარდამდგარმა კომისიონერმა, გვარად ალდადანოვმა, ჩვენს ქალაქში რეოლვერით თავი მოიკლა.

ბევრს ლაპარაკობენ ქალაქში ამ გარემოებაზე: ამბობენ, ვითომც ეს ალდადანოვი დიდი ხანია ავათმყოფი: „უმე, შვილო, შვილო, სირცხვილია ჩიტმა რომ უზმოთ გნახოს და გაჯობოსო. მერე თუ უცხო ქვეყნიდამ პირველათ მოფრენილია, მაგალითად მერცხალი, გუგული და სხ., მაშინ ხომ სულ თავი მოგეჭრებაო! ადე მალე, ხელპირი დაიბანე, ჩაიცვი, ილოცე, ისაუზმე და ისე გადი გარეთ და თუ ჩიტი შეგხვედეს, მიაყვირე: „მიჯობნია! მიჯობნიათქო!“ ამ გვარად უმანკოთ მოტყუებული პატარა ბავშვები ასრულებდენ უფროსების ნებას.

ამ გვარ ყმაწვილებთ განს ეკუთვნოდა პატარა დათიკო, რომელიც ყოველთვის სცდილობდა უფროსების რჩევის დაჯერებას და მათის სურვილის ასრულებას, და ძალიან დიდ ცოდვათაც მიაჩნდა უზმოთ ჩიტის შეყრა. და მართლათაც ძვირათ მოხდებოდა, რომ ჩიტს ის უზმოთ ენახა და დაეყრო მისთვის და მითი ეჯობნა.

ერთს გაზაფხულის დილას, გულის

# ფელეტონი

### საყმაწვილო ზღაპრებიდამ

—

### მერცხლისა და ჭიეჭავის ომი

—

Გაზაფხული დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო;
ჩიტმა ჩოორამო
საძრკველი გასკვნაო! “

ნათქვამია არაკათ. მართლაც, დადგება თუ არა გაზაფხული, ზამთრისაგან გაბრუებული და მითელეფული ბუნებაც სულს იბრუნებს, ღვიძებს; მაშინ აბიბინდება, აჭყვავდება მდელო, ტყე მწვანით იმოსება, საამო და გრილი ნიავი, თითქოს ნანინას ეუბნება, ისე აკვანივით არწევს ხნ აქით და ხან იქეთ აკოკრებულს და ტურფად გაშლილს, სუნნელების ღმომაფშვენ ყვავილებს, იტაცებს მათს არომატს, უხვად მოფენტავს მათ არემარეს და მით კეთილ-შეზავებული ჰაერი სამკურნალოდ და სამკვირცხლოდ მოჰქმედობს ყოველს სულდგმულზედ.

აი ამ დროს იწყებენ სხვა და სხვა გვარი ჩიტები ჭიკჭიკსა და ბუდების კეთებას და იმაზედ არის ნათქვამი, რომ ჩიტმა ჩოორამო საძრკველი გასკვნაო, ე. ი. ბუდის კეთება დაიწყოო!

დიახ, ჩიტები იწყებენ ბუდობას, ზოგი ადრე და ზოგი უფრო გვიან. დაგვიანებული ბუდობა უფრო უცხო ქვეყნებიდამ მოფრენილმა ჩიტებმა იციან, მაგალითად: გუგულმა, მერცხალმა, მწყერმა, მწიფობელამ და სხ.. ადგილობრივ ჩიტებს კი არ უყვარს დაგვიანება, მაგალითად: მაშვს, გვრიტს, სკვინჩას, მესკიას, ჭიეჭავს, კოდარას, ჩხართვს, გულწითელას, ბოლოქნქალას, თოხი-ტარას, მწყერჩიტას და სხ...

მაგრამ ამ ჩიტებშიაც შაშვს ევრაენ დაასწრებს: ყველაზედ უფრო ადრე ბარტყების გამოჩეკა იმანაცის, ასე რომ ნაახალწლევს ბევრს ალარ აგვიანებს, და თავის ბედით კმაყოფილი ამ დროდგანვე იწყებს ხოლმე სალამურის ხმით სტვენას.

ძველათ ჩვენი მამა-პაპები ჩაით არ ითუთქავდენ პირს, კარგათ, ლამაზათ საუზმეს მიირთმევდენ, თანაც რამოდენიმე ყანწ ღვინოს გადაჭრაევდენ ხოლმე და მერე გამოდიოდენ სახლიდამ გარეთ სამუშაოთ. „მშიერი კუჭი მხთალია და მაძღარს კი არაფრისა ეშინიანო!“ იტყოდენ ხოლმე.

ეს ჭაზრი ყველასათვის, თითქმის, აუცილებელი კანონი იყო, მაგრამ პატარა ყმაწვილები კი ხან-და ხანარ ასრულებდენ ამ დიდების ანდერძს; ისინი უფრო თავის გულის თქმას მისდევდენ და ხშირათ, დილ-დილობით რომ გამოიღვიძებდენ, წამოდგებოდენ თუ არა ლოგინიდამ, ისარივით გავარდებოდენ ხოლმე გარეთ ხელ-პირ დაუბანელათ და უზმოთ.

ამისთანა გაუგონარ ბავშვებს დედები და ბამდლები ეტყოდენ ხოლმე: „უმე, შვილო, შვილო, სირცხვილია ჩიტმა რომ უზმოთ გნახოს და გაჯობოსო. მერე თუ უცხო ქვეყნიდამ პირველათ მოფრენილია, მაგალითად მერცხალი, გუგული და სხ., მაშინ ხომ სულ თავი მოგეჭრებაო! ადე მალე, ხელპირი დაიბანე, ჩაიცვი, ილოცე, ისაუზმე და ისე გადი გარეთ და თუ ჩიტი შეგხვედეს, მიაყვირე: „მიჯობნია! მიჯობნიათქო!“ ამ გვარად უმანკოთ მოტყუებული პატარა ბავშვები ასრულებდენ უფროსების ნებას.

ამ გვარ ყმაწვილებთ განს ეკუთვნოდა პატარა დათიკო, რომელიც ყოველთვის სცდილობდა უფროსების რჩევის დაჯერებას და მათის სურვილის ასრულებას, და ძალიან დიდ ცოდვათაც მიაჩნდა უზმოთ ჩიტის შეყრა. და მართლათაც ძვირათ მოხდებოდა, რომ ჩიტს ის უზმოთ ენახა და დაეყრო მისთვის და მითი ეჯობნა.

ერთს გაზაფხულის დილას, გულის

ფობდაო და ამასთან ბევრი პროცესები ჰქონდაო და ადვოკატებთან საქმეები ეჭირაო.

თავის მოკვლის წინათ, მისულიყო ცოლთან, ხუთმეტი მანეთი გამოერთმია და ეთქვა:—ერთი ისეთი წამალი მოენახე, რომელიც უეცრად განმათავისუფლებს, როგორც ჩემი ავათმყოფობისაგან, აგრეთვე, ადვოკატებისაგანაო (პროცესსებიდგან). წასულიყო, ეყიდნა რევოლვერი და თავი მოეკლა...

□ ბორის მაზრიდამ გაზეთს „თფილისის მოამბეში“ ძალიან ცუდ ამბებს იწერებიან. „მე დავიარე სოფლებიო, იწერება კორრესპონდენტი, და გული მიკვდებოდა, როდესაც აქაური გლეხების გაჭირებულ მდგომარეობას ვხედავდიო: წელს საშინელი ზამთარი იყოო და ამის გამო ძალიან ცოტა მიწების დახვნა-დათესვა მოასწრო ხალხმაო, ბევრი პირუტყვი გაწყდა ამ ზამთარსო და ხეხილებიც სიცივემ გაუფუჭაო. ამ გარემოებით ყველაზე უფრო გორელი ვაჭრები სარგებლობენო. თვითონ ბორში მოჰყავთ ხშირად სოფლის გლეხები ურმებით და ხარ-კამბეჩით და ისეთს დროს ავუშავებენ, როდესაც გლეხი თავის ნახნავ-ნათესს არ უნდა მოშორდესო; ამნაირად აცდენენ სოფლის მუშებს და დღეში კი მხოლოთ ათ შაურს აძლევენო...

□ ზოგიერთს რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ ცარიცინის ვაჭრს მელნიკოვსა და ინჟენერს სახანსკის მთავრობისაგან ნებართვა მიულიათ, რომ გამოიკვლიონ თავის ხარჯით რკინის გზის გასაყვანი ალაგები ქ. ცარიცინიდამ სარეპტოზე და სტავროპოლზე და აქედამ შავი ზღვის ერთს და ერთს ნავსადგურამდე. მუშაობა ამ გამოკვლევისათვის მამავალ ივლისში დაიწყებაო, და ნავსადგური ანუ პორტი, სადამდინაც რკინის გზა უნდა გაკეთდეს, როგორც ისმის, ტუაპსე იქნებაო.

□ ჩვენ შევიტყეთ, რომ შვეიცარიიდამ ახლად ჩამოსული უფ. ნაცელიშვილი ქიზიყში ყველის ქარხნის გამართვას აპირებს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 12 ივნისს

—

წუხელი ორს საათზე ნაშუალამევს გაჩნდა ცეცხლი ქუთაისის ფერმის სახლში. ხალხის კიჟინაზე გამომეღვიძა და სხვასთან ერთად მეც წავედი.

ძლიერ სამწუხარო სანახავი იყო. ამ ბაღში ორი ქვითკირის სახლი არის და ერთს სულ მთლად მოდებოდა ცეცხლი. ჩემს მისვლის დროს ხალხი ბევრი იყო, ყოველი კაცი წყალს იძახოდა, მაგრამ მომტანი კი არავინ იყო. ათი მინუტის განმავლობაში ძლიეს ამოიღებდნენ ჭიდამ ხუთიოდე ვედრა წყ ლს. წყლის საჭეველაც (ცეცხლის გასაქრობი მაშინა) ჰქონდათ, მაგრამ უწყლოთ რა საჭირო იყო. ამ დროს კიდევ ხალხიც მოვიდა და რუსებიც, მაგრამ იმოდენი ყურადღება ცაცხლისათვის არავის მიუქცევია, რამდენი შრომაც მუშტის-კრივში გამოიჩინეს. ისევე თუ შრომობდა ცეცხლის გაქრობისათვის მხოლოდ ერთი ვიღაცა ბესარიონ ბაშაშვილიო, ის იყო პირველი მშრომელი. იმან მოჰკიდა წყლის სასხმელ გრძელ ტრუბას ხელი, ავიდა კიბეზე, და დაუწყო ცეცხლს ქრობა. ამ დროს თულუხებიც გაჩნდა და წყალიც მოიტანეს ბლომათ.

მაგრამ ცეცხლმა თავის ჭქნა და ერთი სახლი სულ დაიწვა.

ამ დროს ორ სამ ადგილას სალდათებმა იმერლებს დაუწყეს ცემა, მაგრამ რისთვის—არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ მოსატაცებელი არა იყო რა. წამოათრიეს ერთი კ ცი და რომ უნდათ დაერთო კიდევაც თუ არა, ამ დროს პოლიციისთ პრისტავი მოვარდა და დაიხსნა ეს კ ცი.

ეს სახლები ქუთაისის ქალაქის ყოფილა. ამ ორივე სახლისათვისაც ველარავის მოუვლია; ერთი ვიღაცა ნემეცისათვის მიუციათ თორმეტი წლის ვადით, წელიწადში ას-ორმოცდა-ათი მანეთი უნდა აძლიოს ქალაქ! ეს ბაღი მართლა რომ სთქვას კაცმა, ბაღი არ არის. ამაში არის ხარები გაშვებული, ცხენები და ჯორები და რაღა უნდა იქმნეს ამაში სახეირო! ხეები მოუველელობით ხდება, მაგრამ გამკითხავი ვინ არის...

ცეცხლის გაჩენაზე ამბობენ, რომ ამ სახლში ერთ ოთახში სამზარეულო იყო და იქიდამ გაჩნდა. ნამდვილი კი არავინ იცის რა ჯერეთ. —უბედურ კაცს ქვა ალმართში მიეწიაო—ისე ემართება ქუთაისს.

შორაპნელი

# რუსეთი

✍ რუსული გაზეთები საესე ქალაქის მარშანსკის დაწვის ამბებით. საშინელს მდგომარეობაში არიან თურმე უსახლ-კაროთ დარჩენილი მცხოვრებლები. რამდენიმე ათასი კაცი რკინის გზის ვაგონებში დგანან; საჭმელ-სასმელი რკინის გზით მიაქვთ ახლო-მახლო სოფლებიდამ. ცეცხლის დროს ისეთი ქარი ამოვარდნილა, რომ ზოგიერთი ქალალდები 40 ვერსზე უნახავთ მარშანსკიდამ; ერთი ტუსალის საქმე მეორე უეზდის სოფელში უნახამთ გადატანილი ქარისაგან; ერთი ვიღაცას ექსილის ნაგლეჯი ქალალდი ოთხმოცს ვერსის სიშორეზე გადაქროლებულა. ქალაქის გამგეობა და სხვა იქაური წარჩინებული პირები შეკრებილან და გადაუწყვეტიათ, ამ გაჭირებაში დასახმარებელად ორი მილიონი სთხოვონ მთავრობას სესხად, ოცდა ათი წლის ვადით.

✍ ურიმის ერთს ქალაქში ორმოცი თათრის ოჯახი დაუჭერია ამას წინათ პოლიციას. მსენი სამზღვარგარეთ გადასახლებას აპირებდნენ თურმე.

ამასთანავე ახლა ცნობილია, რომ გერმანიელი კოლონისტები ბევრნი მიდიან რუსეთიდამაო. უფრო მომეტებული ნაწილი ახალგაზდები მიდიან თურმე—20—21 წლისანი. ამ გადასახლების მიზეზი, როგორც ამბობენ, ის გარემოება არის, რომ სამხედრო სამსახურში გაწვევისა ეშინიანთ.

✍ ტვერში ისეთი საშინელი ქარიშხალი ყოფილა ამას წინათ, რომ რამდენიმე სახლის სახურავი აუძერია, ფანჯრების რამკები დაუმტვრევია და სხვა ბევრი უბედურება მოუხდენია. მცხოვრებლები ის დაფთხობილა, რომ არ იცოდნენ თურმე—რა ექნათ. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ დიდი წვიმა მოსულა და განრისხებული ბუნება ის მოვლენა დაწყნარებულა.

✍ ცარსკოსელსკის საპყრობილიდამ გაქცეულა ამ დღეებში ერთი დამნაშავე ურია იაბლონოვსკი, რომელსაც ბალტიის რკინის გზის კასსიდამ 48,000 მანეთის მოტაცება აბრალებდნენ.

# უცხო ქვეყნები

ესპანია. დონ-ქარლოსის მომხრეების დამშვიდება რომ ასე ადვილი საქმე არ არის, ამას გვიმტკიცებს, სხვათა შორის, ერთი ფრანცუზული გაზეთის მადრიდელი კორრესპონდენტი. ამ კორრესპონდენტს დაუვლია ის პროვინციები, რომლებიც ქარლისტებს უჭირავს და შემდეგი ცნობები შეუკრებია: დონ-ქარლოსს ჰყავს ამჟამად 45,000 კარგათ გაწრთვნილი და საიმედო ჯარიო და ამას გარდა 40,000 ისეთი ჯარი, რომელიც თუმცა კარგათ განვითარებული არ არის სამხედრო საქმეებში, მაგრამ გაჭირების დროს ძალიან მოეხმარებაო. კორრესპონდენტი ამ-

---

ძილში რომ იყო, ისე წამოვარდა უცბათ დათიკო და დაიყვირა: „ა მიჯერია! არ მიჯერიაო!“ ყველას ეგონა თუ დათიკო სიზმარშია და ბოდავს, მაგრამ არა: იმას თურმე ჩაესმა ყურში მერცხლის ჭიკჭიკი და მართლათაც იმ დილას პირველათ მოფრენილიყო მერცხალი, შემოფრენილიყო სახლში და ჭიკჭიკობდა. „არ მიჯერია! უჯერია, უჯერია!“ ყვიროდა დათიკო. „ჯობნა შინ კი არ უნდა, გარეთ უნდაო! უცბათ წამოვარდა ზეზეთ, დაიბანა ხელპირი, ჩაიცვა, ილოცა, ისაუზმა და ისე გავიდა გარეთ და მერცხალიც რომ იქ გამოფრენილი ნახა, სიხარულით მიაძახა: „დაგასწარი! მიჯობნია! მიჯობნია შენთვისო!...

ის მერცხალი ყოველთვის, როცა კი გაზაფხულის პირზედ მოფრინდებოდა ხოლმე, სულ იმ სახლში ისევ ძველ ნაბუდარზედ აკეთებდა ხოლმე ბუდეს და დათიკოს ძალიან უყვარდა: ჩემი ჩიტუნიაო, იტყოდა ხოლმე ალერსით.

პატარა მოყვარე სიამოვნებით უყურებდა მერცხალს, როდესაც იმას ტალახი მოჰქონდა და თან და თან იშენებდა, ზდიდა თავის ბუდეს.

ბოლოს როცა იქნა მერცხალმა გათავა ბუდე და ჩაჯდა შიგ კვერცხების მოსაწყობათ. დათიკო ხშირათ ათვალიერებდა ხოლმე.

ერთს დღეს მოვიდა და ნახა, რომ მერცხლის ბუდეში ჭიჭვი (ბელურა) იჯდა და საწყალს მერცხალს ალარ უშვებდა თავის ბუდეში. მოვიდოდა თუ არა ბუდეზედ მერცხალი, ჭიჭვი გამოყოფდა ხოლმე თავს და ჭკორტნიდა საბრალოს. ბევრი იტყველა მერცხალმა და რომ მაინც ველარა გაარიგარა, ბოლოს სადღაც გაფრინდა თავისთვის; ჭიჭვი მაინც ბუდეში იჯდა და გამარჯვებულათ გადმოჰყოფდა ხოლმე თავს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მოჰფრინდა მერცხალს გუნდი, თვითოეულს ძათგანს ტალახი მოჰქონდა და თვალის დახამხამებამდის ისე ამოამსეს და წაგლისეს ბუდე, რომ ჭიჭვი, თუ არ გაფრენილიყო, გამოიღრჩობოდა ბუდეში. ბაიმარჯვეს მერცხლებმა, მაგრამ მოკლე იყო მათი სიხარული და ჭიკჭიკი.

მოიყვანა ჭიჭვმაც გუნდი ჭიჭვებისა. შეექნათ ბრძოლა ამ ორ სხვა და სხვა გუნდს და ისე დაუნგრიეს ჭიჭვებმა ბუდე მერცხალს, რომ ნაბუდარიც ალარ სჩანდა. დათიკომ ყოველივე ეს თავის თვალით ნახა და როდესაც მამა-მისთან მივიდა, დაწვრილებით უამბო ეს ანბავი.

— ბოროტი და სძაგელი ყოფილა ჭიჭვი, თორემ რას ერჩოდა საწყალს მერცხალს, რომელიც თავისთვის იყო, და რათ უნგრევდა ბუდესო? ჰკითხა მამას.

— ა, შვილო. ხშირად ის არის მართალი, ვინც ჩვენ მტყუანი გვგონია და მტყუანი კი თვით მართლად მაგვაჩნია!... ა ახლაც: შენ ჭიჭვს ამტყუვნებ, მაგრამ ჩემის ჰაზრით გასამტყუნარი არ არის. რიგიანად მოქცეულა. ჭიჭვი აქაურია. მერცხალი კი აქ ბუდეს გაიკეთებს, ბარტყებს გამოზრდის, თავს გამოიკვებს და მერე გაუგდება გზას თავის ქვეყნისაკენ და მიტომაც ეჯავრება ის აქაურ ჭიჭვესაო! უპასუხა მამამ.

—ეგ მაინც ბოროტება არის, განაგრძო დათიკომ, თორემ რა ენაღვლება მერცხალმა აქ ბუდე გაიკეთოს! ადგილი ბუდისათვის საკმაოა, როგორც ერთისთვის ისე მეორისთვის და მაშ მით რა წაუხდება ავგულ-ჭიჭვესო.

— აქ კიდევ სხვა ანგარიშია, შვილო, წასჩურჩულა მამამ: აქ საზრდოსათვის იბრძვიან. როგორც ჭიჭვები ისე მერცხლებიც ბუზებსა და ჭია-ჭუაებს იჭერენ, მითი იკვებებიან და თუ აქ მერცხლები გამრავლდენ, მაშინ ჭიჭვებს საზრდო გაშოელევათ!...

ამ სიტყვებზედ დათიკო ღრმად ჩაფიქრდა, ამოიოხრა და სთქვა:

— მართალს ამბობ: ჭკვიანი ყოფილა ჭიჭვიაო!

ალაკი

ბობ', რომ თუ მართებლობამ შემდეგაც ისე წაიყვანა საქმე, როგორც დღემდი მიჰყავდაო, ვერასოდეს ვერ დაიმორჩილებს ქარლისტებსაო და ესპანია დაიღუპებაო. შეიძლება ის იფიქროთო, რომ დონ-ქარლოსს სამხედრო საქმეში ყველაზე უფრო საჭირო რამ, ე. ი. ფული გამოელიოსო და იმან აღებინოს ხელი თავის განზრახვაზედაო. მაგრამ იმას ისეთი რაღაც საიდუმლო წყაროები აქვს, ისე ადვილად პოულობს ყოველთვის ფულს, რომ ამის იმედი არ უნდა გექონდესო.

**იტალია.** იტალიის ხალხის წარმომადგენელ პარლამენტს განუხილავს ამ დღეებში სამინისტროსაგან წარდგენილი პროექტი შესახებ საზოგადო მშვიდობიანობის დაცვისა. ბევრი დეპუტატები ყოფილან ამ პროექტის წინააღმდეგ, რადგან ის ავიწროებს კერძო კაცის თავისუფლებას. მაგრამ როდესაც სამინისტროს პრეზიდენტს — მინგეტტის — აუხსნია, რომ ეს კანონი მხოლოთ იმ ავაზაკებს შეეხებაო, რომელთაგან მთელ იტალიას და განსაკუთრებით სიცილიელებს არა აქვთ დღეს მოსვენებაო, და არა პოლიტიკურ დამნაშავეებსაო, მაშინ დათანხმებულან და მთელი პროექტი შეუცვლელად მიუღიათ.

# ქრონიკა

14

## არგონავტების საქართველოში მოსვლა

ნამდვილად გამოკვლეული და დამტკიცებულია, რომ ევროპასა და აზიას შუა სავაჭრო გზა ძველის-ძველადგანვე საქართველოზე გაივლიდა. ინდოეთისა და სპარსეთის ვაჭრები ჯერ მოდიოდნენ საქართველოში და მერმე აქედგან ევროპაში მიემგზავრებოდნენ. ამისათვის ქალაქი მცხეთა, სურამი, შორაპანი, ჭუთაისი, სენაკი და სოხუმი (დიოსკურია) იყვნენ სავაჭრო ადგილები ბერძნებისა, სპარსელებისა, ინდოეთელებისა და ფინიკიელებისათვის. რადგან საქართველო ძალიან მდიდარი იყო ფულით და მადნეულებით, ამისათვის ბერძნებს გაჰქონდათ აქედგან ოქრო, და ვაჭრობდნენ შორაპანში, ჭუთაისში და სოხუმში.

ეს ვაჭრობა იყო მიზეზი იმისა, რომ 1200 წელს, ქრ. დაბად. წინ, არღონავტნი მოვიდნენ სამეგრელოს ქალაქს, ძველს სენაკში, რომელსაც იმათებურად ერქო ეა. ამ დროს მთელს საბერძნეთში დავარდა ხმა, რომ ერეტრეთში შავის ზღვის კიდეზე არის ქვეყანა კოლხიდა, იმასა აქვს ერთი მშვენიერი ჭალაკი და იმაში აბია ოქროს მატყლოვანი ცხვარიო, რომელსაც ქართულად „ვერძს“ ეძახიან. აი რა გვარი მითი შეადგინეს ამაზე ბერძნებმა:

თიველ მეფეს აფამანტს ცოლი რომ მოუკვდა, იმისაგან დაჰრჩა ქალ-ვაჟი. შემდეგ აფამანტმა შეირთო სხვა ცოლი და ამ დედის-ნაცვალმა დაუწყო დასა და ძმას ტუქსვა და წვალება. დას ერქო ელლეი, ძმას ფრიქსი. ამათ ვერ გაუძლეს დედის ჩაგვრას და გაქცევა დააპირეს. ნაშინ ღრუბლიდგან გამოვიდა ვერძი და აღიტაცა ზენაარსს ერთიცა და მეორეცა და წამოიყვანა კოლხიდის კერძო. როცა მოფრინავდნენ ეს და-ძმანი შავს ზღვაზე, უეცრად ესმათ ცაში საზარელი ღმუვილის ხმა და ელლეი შიშისაგან გადმოვარდა ცხვრიდგან ზღვაში და დაიღრჩო. იმ ადგილას, საცა ქალი ჩავარდა ზღვაში, ამ ქალისა გამო დღესაც უწოდებენ ელლეის-პონტე. ძმა კი მშვიდობიანად მოვიდა კოლხიდაში (სამეგრელოა); ის ვერძი აქ შესწირა ღმერთებს, გაჰხადა ოქროს ტყავი და ჩამოჰკიდა ხეზე იმ ტყეში, რომელიც არრის. ღმერთსეკუთვნოდა (მარს) ამას დაუყენა ყარაულად ორი ხარი, რომელთაც პირიდგან ამოსდიოდათ ცეცხლი და რქები და ფეხისა ჩლიქები რკინისა ჰქონდათ; ამათ გარდა იყო კიდევ ყარაულად ერთი უშველებელი ვეშაპი. ამათ გამო ვერა სულიერს ვერ შეეძლო მიახლოვება ოქროს მატყლოვანს ვერძთან, და თუ ვინმე იქნებოდა იმოდენად თავხედი, რომ მოიწადინებდა ვერძთან მისვლას, უთუოდ ცოცხალი ველარ დაბრუნდებოდა. იმასთან მიახლოება არ შეეძლო თვით იმ ადგილის პატრონსაც.

როცა თესალონიკის მეფემ პელიამ შეიტყო ასრეთი მიუდგომელობა და საშიშროება ამ ადგილისა, განიზრახა თავის ძმის წულის ამ ხარებთანა და ვეშაპთან ბრძოლაში მოკვლა.

იმის ძმის წულს სახელად ერქო იაზონი. ეს ყმაწვილი იყო შვილი ეზონისა. როცა ეს ეზონი კვდებოდა, მოუწოდა თავის ძმას პელიას, ჩაბარა მცირე-წლოვანი თავისი შვილი იაზონი და ვიდრე ის გაიზრდებოდეს, სამეფო ცაურავის ძმას მიანდო.

პელიამა აღზარდა იაზონი ერიდის გულს-მოდგინებით; ასწავლა სამხედრო, სამეფო და სამოქალაქო წესები, მიაღებინა მშვენიერი ბერძნული განათლება, და როცა სიჭაბუკის ჭასაკში მოიწია, შეიქნა ჭაბუკი მხნე, ძლიერი, კაზნიერი, გულოვანი და ჭაეროვანი. ამისათვის ის მიიზიდვიდა ყველა კაცის გულს და უყვარდათ დიდსა და პატარას ზომაზე მოძეტებულად.

პელიის არ უნდოდა დაეთმო მეფობა ანდერძისამებრ ძმისა თვისისა, ამისათვის იმას შეეშინა გულში შურა; მაგრამ არაფერი უცხადებდა ამ თავის გულის პატუხს; პირმოთნეობით დიდს პატივსა სცემდა იაზონს, უჩვენებდა სიყვარულს და ამასობაში სცდილობდა მოეპოვებინა რამე ღონე ძმის წულის მოსაკლავად.

ამ დროს იმან შეიტყო ოქროს მატყლოვანი ვერძის ამბავი, სასტიკი მისთვის ყარაულობა, და ამისათვის მოუწოდა იაზონს და ასრე უთხრა: თქვენმა მაღალშობილებამ, შვილო ჩემო, იცის თუ რამეცადინეობით მე შენ გაგზარდე, რადგან ძე მქონდა ნაანდერძევი მამიშვილისაგან; დღეს მთელს საბერძნეთში შენზე ჭაეროვანი და ეაჟკაცი არაფერ არის, და რადგან გვაროვნებითაც ყველაზე წარჩინებული ხარ, ამისათვის გირჩევ, როგორც კეთილის მოსურნე მამა, მიიღო შრომა, ეცადო და მოიპოვო ოქროს მატყლოვანი ვერძი; მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ შეგიძლიან შენის სიმხნით ამ ღირს სახოვრის საუნჯის მოპოვება და მით უკუნისამდე დაუვიწყარი სახელის დამსახურება; როცა შენ მერმე დაბრუნდები შენს სამშობლოში ამგვარად სახელგანთქმული, მაშინ დაგითმობ თესალონიკიის ტახტსაც და შენ შეიქმნები მთელს საბერძნეთში სახელ-განთქმულ მეფე.

იაზონმა ბიძის ზაკვარება ვერ შეუტყო და წაქეზებულმა ჭაბუკმა გამოაცხადა თავისი თანხმობა.

პელიის ძლიერ გაუხარდა და მაშინვე უბრძანა გამზადება ხომალდისა. ხომალდი მოკაზმეს მეფის შვილისთვის შესაფერად, ჩააწყვეს შიგ უძვირფასესი ნივთები და ზღვაში ცურვისათვის საჭირო იარაღები. მერმე იაზონი ჩაჯდა შიგ 50 ათის გმირით და გამოსწია საქართველოსკენ. ამ რიცხვში იყვნენ ჰერკულესი, აიაქსი და წარჩინებული მელექსე და მესალამურე ორფეი. ზღვაში რომ მოცურავდნენ ორფეი ისრე მშვენიერად უკრავდა სალამურს და ზედ დამღერიოდა, რომ ბორცვებზე ქვები მაღლა-მაღლა ხტოდნენ, ძილს მიეცემოდნენ; ერთის სიტყვით რასაც სული ედგა, ის ძილ-ქუთში ვარდებოდა, რასაც არა—ისინი კი სიხარულისა და აღტაცებისაგან ცმუკავდნენ და მაღლა-მაღლა ხტოდნენ.

როცა ეს არღონავტნი მოვიდნენ და გამოვიდნენ სამეგრელოში შავის ზღვის პირზე, მაშინ შეიტყო ქართველობამ და სამეგრელოს მამასახლისმა ოტიამ. შავ ზღვის პირზე ქართველი ხალხი დიდის ყოფით, წინწილებით და საყვირებით მიეგებნენ? აზონს და მოიყვანეს ქალაქს ძველს სენაკს. ქალაქის მეიდანზე იმას თავის წარჩინებულებით დაუხვდა აგრეთვე მამასახლისი ოტიაცა. ქართველების ჩვეულებისამებრ ოტიამ ჯერ მოიკითხა იაზონი და ჰერკულესი, მერმე დაუჭირა მარჯვენა ხელი იაზონს, მარცხენა ჰერკულესს და აიყვანა უცხო მეფეების სასტუმროდ გამზადებულს და ძვირფასად შემკულ პალატში. 86 კაბადონზე თეიმურაზი ამბობს, რომ ამ გვარს შემთხვევისათვის ამ დროს ყოველს სამამასახლისოში იყო აშენებული პალატები. „პალატი, ამბობს ის, იქნებოდა ძვირფასითა სამკაულებითა და ვეცხლისა და ოქროისა ჭურჭლებითა და ყოვლითა სახმარებითა და ესრედ მიიღებდეს უცხო ქვეყნისა სტუმართა მეფეთა, გიმა მთავართა და სხვათა დიდთა და მცირეთა თავისა შესაფერად“.

ინგილო ჯანაშვილი

# ნარევი

ინგლისის გაზეთებში გამოცხადებულია ჩვეულებრივად დაწვრილებითი ანგარიში იმის თაობაზე — თუ შარშანდელი წლის განმავლობაში ინგლისის რკინის გზებზე რამდენჯერ მომხდარა მარცხი და რამდენი კაცი დახოცილა ან დ ჭრილა. ამ ანგარიშიდამ ვტყობილობთ, რომ ინგლისის ყველა რკინის გზაზე შარშან მარტო 87 კაცი მომკვდარა-თუ ვაგონების ერთმანეთზე დატაკებისა და თუ სხვა უბედური შემთხვევების გამოისობით. თუ მივიღებთ მხედველობაში რკინის გზის მანძილის სიგრძეს ინგლისში, დავრწმუნდებით, რომ ეს რიცხვი არაფრად ჩავარდება.

* * *

რამდენიმე ვენგრიის ახალგაზდა ვაჟს პირობა მიუციათ ერთმანეთისთვის, რომ ნურცერთი ჩვენგან ისეთს ქალს ნუ შეირთავს, რომელიც მდიდრულს ტანისამოსს იცვამსო, რადგან ჩვენი ცოლების ჩაცმა-დახურვამ სრულებით გაგვაკოტრაო.

* * *

ებრაელებს ერთი მდიდარი და თავის გვარ-ტომის დამხმარებელი კაცი ჰყავთ, სახელად მანტეფიარი, რომელიც დაჩაგრული ურიებისთვის არაფერს არ ზოგავს. ეს მანტეფიარი, რომელიც ამ ჟამად 92 წლის მოხუცია, პალესტინაში წასულა და ოსმალოს მთავრობასთან უნდა იშუამდგომლოს, რომ იქაურ ურიებს უფრო კაცობრიულად მოეპყრონ და ნუ ავიწროებენ.

**უმოკრჩილესად ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელთაც შარშანდელი ანუ წლევანდელი გაზეთის ფული ჯერ არ შემოუტანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.**

## რედაქციისაგან

სამზღვარ გარეთის ხელის-მომწერლებისათვის ვაცხადებთ, რომ გაზეთი „დროება“ გავზავნით ლირს, წელიწადში:

საფრანგეთში და ოსმალეთში — 13 მან.

შვეიცარიაში და გერმანიაში — 12 მან.

ვაცხადებთ ამას იმიტომ, რომ ზოგნი ფოჩტის ფულს არ ანგარიშობენ და ჰგონიათ, რომ გაზეთი სამზღვარ გარეთაც 8 მანეთად ლირს.

„დროების“ რედაქცია სთხოვს იმ პირთა, რომელთაც გაგზავნილი ჰქონდათ გასასყიდლათ „დ რ ო ე ბ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი,“ გაყიდვისაგან შემოსული ფული მალე გამოგზავნონ უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ან თვითონ რედაქციაში.

# განცხადებანი

რადგანაც დოქტორი თამამშევი ამთვის 21-ს სხვაგან მიემგზავრება, ამის გამო ავათმყოფების მიღება მხოლოთ ამ რიცხვამდი შეუძლიან თავის სახლში. ქალაქს გარეშე მცხოვრებნი ამ რიცხვის შემდეგ, ახალს გამოცხადებამდინ, არ უნდა მოვიდნენ ქალაქში თვალის აქიმ თამამშევთან.

---

**უუ. ახვლედიანის და ვარლამოვის სარძეო სარდაფში,** ისყიდება შემდეგი ნაწარმოები:

| | | |
|---|---|---|
| ქარაკი — გირვანქა — | 50 | კაპ. |
| ნაღები— — — — — | 40 | — |
| სვეტანა — — — — | 30 | — |
| ყველი — — — — — | 15 | — |
| ტვაროგი, ხაჭო — — — | 10 | — |
| რძე— — — — — — | 5 | — |
| მაწონი — — — — — | 5 | — |

სარდაფი იმყოფება ერევნის მაღალზე, სემინარიის პირ-და-პირ, მანდენოვის სახლებში.

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიის, პარფენიკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისა.

სამშაბათს: პარფენიკი — ყმაწვ, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის

ხუთშაბათს: პარფენიკი ყმაწ, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისა. მარკაროვი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: მინკევიჩი — ხირურგიისა, პარფენიკი — ყმაწვ., ქალებს და ვენერ. ავათმყოფი, ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: მარკაროვი და ლისეცევი შინაგანი ავათმყოფობისათვის.

---

ბარდანქეშან-აიარი.

ბეჭდვიდგან გამოვიდა და მომავალ კვირაში გაისყიდება

## პირველი კარი ყარამანიანისა,

სპარსულიდგან ნათარგმნი ქართულს ენაზედ სალთხუცის და სარდლის თავადი დავით ორბელიანისაგან. საამოთ სასმენელი. ზოგიერთი სურათებით ყარამანისა, ბარდანქეშანისა და სხვ.

გამოცემული დავით ლაზარევისაგან და ნიკოლოზ კოზალაძისაგან.

ფასი „პირველი კარისა“ ექვსი შაური (30 კაპ.)

გაისყიდება ჯერ-ჯერობით ტფილისს მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში.

იბეჭდება და მომავალ თვეში გამოვა „მეორე კარი ყარამანიანისა.“

---

## ისყიდება

ექვთიმე ხელაძის და ამხ. გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| „სურამის ციხე“ — | 20 | კ. |
| „ვეფხვის ტყაოსანი“ ფუ. | 50 | „ |
| — — ყდით — | 70 | „ |
| ლექსები და ანდაზები | 5 | „ |
| საყოველ-დღეო ლოც. | 5 | „ |
| სამეფო ნორო ლექსები | 5 | „ |
| ეთერიანი — — — | 5 | „ |
| მოძრავი ასოები — — | 5 | „ |

აგრეთვე ისყიდება ახლად გამოსული „მგოსანი“ ლექსები, თქმული დავით ბეივშვილისაგან, ფასი 20 კ. და სხვა ქართული წიგნები.

ყველა ეს წიგნები ისყიდებიან თფილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში და წიგნების მაღაზიებში, სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

---

## დებულება კავკაზიის აქეთა მხრის სამოსწავლებლო სემინარიაზედ

(უმაღლესად დამტკიცებული 8 აპრ. 1875 წ.)

1) კავკაზიის აქეთა მხრის სამოსწავლებლო სემინარიას აქვს მიზნათ — მისცეს პედაგოგიური განათლება ყმაწვილ კაცებს, რომლებიც ეკუთვნიან აქაურ ხალხებს და რომელთაცა სურს მასწავლებლობის თანამდებობის ასრულება ადგილობრივ პირველ-დაწყებით სასწავლებლებში.

შენიშვნა. ვიდრე დაწესდებოდეს მაჰმადიანებთათვის ამგვარიგე სემინარია, იმათ შეუძლიანთ შესვლა მოხსენებულ სემინარიაში და მასთან დაფუძნებულ დასწყის სასწავლებელში.

2) სემინარია ხელმძღვანელობს უმაღლესად დამტკიცებული წესდებით შესახებ უაზნის და ირკუტსკის სემინარიისა, 27 მარტს 1872 წ, რომელსაც უნდა მიემატოს შემდეგი ახალი კანონები.

3) სემინარიაში იზრდება სახელმწიფო ხარჯით ოცდა ხუთი მოსწავლე, რომლის რიცხვში ხუთი არის რუსი, და სხვა აქაურები.

4) პრაქტიკულ სავარჯიშებლათ ალზრდაში და სწავლებაში სემინარიას ექნება სამი პირველ დაწყებითი სასწავლებელი: რუსული, ქართული და სომხური.

5) ბარდა სახელმწიფო მოსწავლეთა, სემინარიაში შეუძლიან, შეძლების დაგვარად, შეევიდნენ სტიპენდიატები ერობის, სამოქალაქო და სასოფლო საზოგადოებათა და კერძო პირთა, აგრეთვე გარეშე შაგირდები.

6) სახელმწიფო მოსწავლენი, სწავლის შესრულების შემდეგ, ვალდებულ — არიან ემსახურნენ ექვსი წელიწადი, მთავრობის დანიშვნით, სახალხო ან სხვა სასწავლებელში.

7) სემინარიის კურსი გაგრძელდება სამი წელიწადი. აქაურ ხალხების ამ სემინარიაში შესვლის გასაადვილებლათ, სემინარიას ემატება მოსამზადებელი კლასი.

8) სემინარიის დირექტორი ირჩევასა სწავლებლის მაზრის პოპეჩიტელი'გან (მზრუნველისგან) იმ პირთაგან, რომელთაც მიუღიათ სწავლა მაღალ სასწავლებელში, ხოლო თანამდებობაში ამტკიცებს მთავარ-მმართებელი (ნამესტნიკი).

9) სემინარიის და მასთან დაფუძნებულ სასწავლებელთ მოსწავლეთ ნიშნავს პოპეჩიტელი.

10) სემინარიის მასწავლებელი სარგებლობენ სახელმწიფო სამსახურის უფლებებით ხალხის განათლებას სამინისტროს ნაწილში; აგრეთვე, ცალკე გამოცემული კანონების ძალით, იმ უფლებებით, რომლებიც მითვისებული აქეთ აქაურ სამსახურის პირთ. პირველ დაწყებითი სასწავლებელთ მასწავლებელი სარგებლობენ იმავე სამსახურის უფლებით, რომლებიც საზოგადოთ ეკუთვნის ყველა კავკაზიის აქეთა მხრის დასაწყისი სასწავლებლების მოსწავლეთ; ამასთან პენსია და თანადროებითი შემწეობანი როგორც იმათ, აგრეთვე მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს ეძლევა იმ რიცხვით, რომელიც არის დაწესებული 29 ოქტომბერს 1853 წ. უეზდის სასწავლებლების მასწავლებელთათვის კავკასიის აქეთა მხარისა.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| ბორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია. | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი. | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილ. . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

### ტელეგრაფი

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| ბორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსპალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . | 3 | 75 |

### ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ და შ.ბ. ახალციხეს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ხუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | | კაპ |
|---|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | | 10 |

### ბირჟა

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 10 ივნისს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33^{7}/_{8}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $347^{1}/_{4}$ სანტიმი. | — | 89 |
| მსკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 75 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 210 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 205 | 25 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. საზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის ($5^{1}/_{2}$) | 87 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 215 | — |
| ფოთი თფილ რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

### მაზანდა

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 13 ივნისს | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 10 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა მრევნისა, ფუთი . | 4 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 65 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 75 |
| სპირტი, ვედრო. . . | 7 | — |
| შაქარი, კარგი ფუთი . | 8 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | — |
| ოქრო $^{1}/_{2}$ იმპერიალი. . | 5 | 94 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Іюня 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.